ფასი 10 კაპ.

ბოლშევიკური ხელს შეუწყობსა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) მთავრ. კომიტეტის და თბილ. საქალაქო კომიტეტის და საქ. ცენტრ. საბჭოს ორგანო

ტელეფონები ხასი: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—58—17, სამდივნოსი 10—58, მთავ. ბუღალტრის—8—31

სამშაბათი, 28 ნოემბერი 1933 წ. № 273 (3829)

მთლიანად შევაგროვოთ სათესლე, სადაზღვევო ფონდები

დავეხმაროთ პირით საკოლ. პაჭრობის დაწყება და გაჯანსაღება

წნორის (სიღნაღის რაიონი) სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მომსახურეობაში შემავალ კოლმეურნეთა მიმართვა

საქართველოს ყველა კოლმეურნისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ის უდიდესი გამარჯვებები, რომელიც მთელ საბჭოთა კავშირში მოპოვებულია საკოლმეურნეო მშენებლობის მხრით, წარმოადგენს კომუნისტური პარტიის სწორი პოლიტიკის და ამხ. სტალინის მითითებების გაუხეშებელად გატარების შედეგს.

ჩვენ, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეებმა, რაიონის პარტიული ორგანიზაციის და პოლიტგანყოფილების უშუალო ხელმძღვანელობით წელს მოვიპოვეთ უდიდესი გამარჯვებები, ჩვენი საკოლმეურნეო წარმოების გამაგრების საქმეში. ჩვენ ვდგევართ პატიოსანი შრომის გზაზე. და კიდევაც წელს გავაკეთეთ ძალიან ბევრი და მნიშვნელოვანი საქმე ჩვენი საყვარელი ბელადის ამხ. სტალინის მოწოდების განსახორციელებლად—ყველა კოლმეურნის შეძლებულად გადაქცევის შესახებ.

საგაზაფხულო თესვის გეგმები წელს ჩვენ მთლიანად შევასრულეთ პარტიისა და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე—10 ივნისს.

მოსავლიანობის გადიდების მიზნით, ჩვენ წელს კეთილსინდისიერად ჩავატარეთ ნათესების დამუშავება. თუ მხედველობაში არ მივიღებთ სიმინდს, რომლის გათოხნა ჩვენ მხოლოდ 5 დღით დავგვიგვიანდა, ყველა სათოხნი კულტურების დამუშავება დავამთავრეთ ვადაზე. ბამბის თოხნა დღემდე წესად მიღებულ ოთხის ნაცვლად, ჩავატარეთ ხუთჯერ.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მოსავლის აღება ჩვენმა კოლმეურნეობებმა წელს ჩაატარეს ძალიან მოკლე ვადაში. პურის და ქერის მოჭრა დავამთავრეთ 10 აგვისტოს, ხოლო ლუწვა 20 სექტემბერს. ე. ი. იმ ვადებში, რომელიც მოცემული გვქონდა ჩვენი მთავრობისა და პარტიის მიერ.

დამუშავების გაუმჯობესების და აგრონომიული ღონისძიებების გატარებით წელს ჩვენს კოლმეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდა მოსავლიანობა. მაგალითად წელს კოლმეურნეობებში პურის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე შეადგენს 8,4 ცენტნერს, ბამბის 7,2 ცენტნერს, თამბაქოსი—8,5 ცენტნერს, ხოლო სიმინდის მოსავლიანობა კი ავსწერეთ 13,5 ცენტნერამდე.

ცალკე კოლმეურნეობებში წელს ჩვენ გვქონდა **ჯერ არ ნახული** მოსავალი. მაგალითად **სოფ. ძვ. ანაგის ამხ. სტალინის სახელობის** კოლმეურნეობამ ერთ ჰექტარზე აიღო 17 ცენტნერი ქერი, **ზემო-მაჩხაანის სტალინის სახელობის** კოლმეურნეობამ ჰექტარიდან აიღო 16 ცენტნერი პური, **სოფ. საქობოს კოლმეურნეობა „გლეხის სინათლემ"** ჰექტარიდან მიიღო 18,5 ცენტნერი პური და სხვ.

მოსავლის აღების დაწყების დღიდანვე ჩვენ შევუდექით სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებების მესრულებას და პირველმა რესპუბლიკაში ვადაზე ადრე შევასრულეთ მოცემული გეგმა—ჩავბარეთ სახელმწიფოს 7.692 ცენტნერი საუკეთესო ხარისხის მარცვლეული. მთლიანად შევასრულეთ აგრეთვე სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის ნატურა-ანაზღაურებისათვის მარცვლეულის გადაცემის დავალება.

ამასთანავე ჩვენ **ერთი წუთითაც არ დაგვივიწყებია სათესლე და სადასაზღვევო ფონდების ვადაზე შეგროვება. ეს იმიტომ, რომ ვიცოდით, —საკოლმეურნეო ვაჭრობის დაწყება პურით არავითარ შემთხვევაში დაშვებული არ იქნება სახელმწიფოს ყველა დავალებების შესრულებამდე, სათესლე და სადაზღვევო ფონდების მთლიანად გამოყოფამდე.** აი ამიტომაც ჩვენ მივაღწიეთ ყველა ზომები სათესლე და სადასაზღვევო ფონდების შეგროვების დასაჩქარებლად.

შემოდგომის თესლის შეგროვება 16.520 ცენტნერის რაოდენობით ჩვენ მთლიანად შესრულებული გვქონდა ათი სექტემბრისათვის, ე. ი. შემოდგომის თესვის დაწყებამდე.

სადაზღვევო თესლი 2.649 ცენტნერი მთლიანად შეგროვილი იყო 20 ოქტომბრისათვის, ეს სადაზღვევო თესლი მთლიანად აქვს შესრულებული ჩვენი რაიონის ერთპიროვნულ მეურნეობებსაც.

1934 წლის გაზაფხულის თესლის გამოყოფის დროს ჩვენ გავითვალისწინეთ, რომ გასულ წელთან შედარებით ნათესს გავადიდებთ 10 პროცენტით მაინც და ამ ანგარიშით გამოვყავით და შევინახეთ თესლი 6.600 ცენტნერის რაოდენობით.

მიმდინარე სამეურნეო წელი თავდება. ჩვენ უკვე გავანაწილეთ მოსავალი კოლმეურნეობებში. შეძლებული კოლმეურნეობები ჩვენს რაიონში გამრავლდებ. სოფ. ზემო-მაჩხაანში, საქობოში, ქედში და სხვაგან ჩვენ მრავლად გვყვანან ისეთი კოლმეურნეები, რომელთაც კომლზე 300—500 ფუთი პური და ზოგან მეტიც კი მიიღეს.

მოვიყვანთ აქ მხოლოდ ერთ მაგალითს: სოფ. ზემო მაჩხაანის „სტალინის" სახელობის კოლმეურნეობის წევრმა **გორა ტოკლიკიშვილმა** შრომა-დღეების ანგარიშში **კოლმეურნეობიდან უკვე მიიღო და თავის ბელლში ჩაყარა 500 ფუთი პური ე. ი. ნახევარი ვაგონი.** მანვე მიიღო 75 ფუთი მზესუმზირა, 40 ფუთამდე ფეტვი და სიმინდი, 9 ფუთამდე ყველი და სხვ. გორა ტოკლიკიშვილი გამონაკლისს არ წარმოადგენს. ასეთი კოლმეურნეები უკვე ათობით და ასობითაა ჩვენს რაიონში.

და აი ჩვენ, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეებს, რომლებმაც შევასრულეთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ყველა დავალებები, დავუბრუნეთ სახელმწიფოს სესხი და შევაგროვეთ სათესლე და სადაზღვევო ფონდები, **გვინდა რაც შეიძლება მალე დაიწყოს და გაიშალოს საკოლმეურნეო ვაჭრობა პურით, რომ ჩვენი მონაგარი ჭირნახულის ზედმეტი რაოდენობის გაყიდვიდან მიღებული ფულით კიდევ უკეთ მოვაწყოთ ოჯახი, კარგად მოვემზადოთ საზამთროთ, უფრო შევმოსოთ ცოლშვილი, შევიძინოთ ქალაქის ნაწარმოები, რაც ჩვენთვის შეძლებული და განათლებული ცხოვრებისაკენ მიმავალ მშრომელებისათვის აუცილებელია.**

მაგრამ **საკოლმეურნეო ვაჭრობის დაწყებას რესპუბლიკაში აფერხებს ის, რომ დღემდე მთლიანად არ არის დამთავრებული სათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვება.**

ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებდით და ვადევნებთ თვალყურს თესლის შეგროვების საქმეს საქართველოს კოლმეურნეობებში. როგორც გაზეთებიდან ვტყობილობთ ათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვება ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული საქართველოს კოლმეურნეობების უმრავლესობაში. ეს დიდი ჩამორჩენა და სირცხვილია.

სიღნაღის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობები შეკრებილნი წნორის სამ.-სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილების თაოსნობით მოგვიწოდებთ თქვენ, საქართველოს ყველა კოლმეურნეებს და ერთპიროვნულ მეურნეებს, მიიღოთ ყველა ზომა სათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვების დაუყოვნებლივ დამთავრებისათვის.

ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ კულაკი და მისი დამქაში ყოველმხრივ ცდილობს შეაფერხოს და ხელი შეუშალოს თესლის შეგროვებას იმ ანგარიშით, რომ ჩამშალოს თესვა, დაამტკიცოს საკოლმეურნეო ვაჭრობა, გააბას სპეკულაცია და ხელი შეუშალოს კოლმეურნეობის განმტკიცებას, კოლმეურნეთა შეძლებულად გადაქცევას.

კულაკების მავნებლობის ამბები სიღნაღის რაიონში ბევრი გვქონდა და ახლაც გვაქვს. მაგალითად წელს სოფ. წითელ-წყაროს კოლმეურნეობამ ყანა დათესა, მაგრამ არ დაფარცხა, თესლი მიწაზე ზევით მოფენილი დასტოვა. გამოირკვა, რომ ამას აკეთებდა კოლმეურნეობაში შეპარული კულაკის აგენტი. ის სასტიკადაც დაისაჯა.

კულაკები ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს თესლის შეწამვლის და გაწმენდის წინააღმდეგ.

ჩვენი სიღნაღის რაიონის უკანა მხარის სოფლები წელს დასტყუა სწორედ მკის დაწყების წინა დღეებში. კულაკებმა გაავრცელეს ხმები—თესლის შეგროვება საჭირო არ არის, სეტყვისაგან ჩაცვენილი ხორბალიც მშვენივრად ამოვა და იხარებსო.

ჩვენ კულაკების და მათი ამყოლების ასეთ მავნებლობას ვამჟღავნებთ, ვებრძვით მათ დაუზოგავად ჩვენი პოლიტგანყოფილების ხელმძღვანელობით და დახმარებით.

ეს კულაკები და მათი ამყოლ-დამყოლები არიან ყველა რაიონში. თქვენი ამოცანაა, ამხანაგო კოლმეურნეებო, ჩამოგლიჯოთ მათ ნიღაბი და დაირაზმოთ კულაკთა მახინაციების არმოსაფხვრელად.

საკავშირო მთავრობის და საკავშირო კომუნისტური პარტიის დადგენილება სათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვების დაჩქარების და მერე საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ, არის ჩვენი, კოლმეურნეთა ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობის დადგენილება.

ჩვენი მოწოდებაა — დარაზმოთ მთელი ძალები მთავრობისა და პარტიის ამ გადაწყვეტილების ნამდვილი—კოლმეურნეული სიმტკიცით გატარებისათვის.

ჩვენ მივაქცევთ საქართველოს ყველა კოლმეურნეთა განსაკუთრებულ ყურადღებას სადაზღვევო ფონდების შეგროვებას. მეტი აღარ შეიძლება გაგრძელდეს ის უწესოება, რომელსაც ადგილი აქვს ამ ფონდების შეგროვებასა და დაცვაში.

ჩვენ, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა სადაზღვევო ფონდების გამოყოფისა და შენახვის საქმე წელს დავაყენოთ სანიმუშოდ. **თითეულს ჩვენს კოლმეურნეობას, გამოკურფილი, გაწმენდილი და ცალკე ბელლებში აქვს ჩაკეტილი სადაზღვევო ფონდი.** კოლმეურნეთა საერთო კრებაზე პოლიტგანყოფილების მუშაკებმა ახსნეს და განმარტეს ყოველივე ამის მნიშვნელობა. ასევე ჩატარდა პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით ახსნა-განმარტება ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო კრებებზეც. ამის შემდეგ სადაზღვევო ფონდების შეგროვება თითქმის არსად არ გაჭიანურებულა. წელს ჩვენი რაიონის იმ კოლმეურნეობებმა, რომლებსაც ნათესები დაეღუპათ სეტყვისაგან — მიიღეს თესლი სადაზღვევო ფონდების წითელი ბელლებიდან. **ამან კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა მთელი მშრომელი გლეხობა სათესლე ფონდების შეგროვების და დაცვის აუცილებლობაში.**

მიიღეთ ამხანაგო კოლმეურნეებო ყველა ზომა სადაზღვევო ფონდების შესაგროვებლად, შესანახად, წესიერად გამოსაყენებლად.

ჩვენ, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა მივაღწიოთ წარმატებებს თესვაში, მოსავლიანობის გადიდებაში, ჭირნახულის აღებაში, სახელმწიფოებრივი დავალებების შესრულებასა, სათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვებაში იმით, რომ **მტკიცედ შევითვისეთ და გამოვიყენეთ ამხ. სტალინის მითითებები,** მტკიცედ შევითვისეთ და შევასრულეთ სახელმწიფოსათვის პურის სავალდებულო ჩაბარების ახალი კანონი, რომელიც ერთნაირად სასარგებლოა, როგორც ჩვენი მუშურგლეხური სახელმწიფოსათვის, ისე თვით ჩვენთვის — კოლმეურნეებისათვის.

მაშ, ასე ამხანაგებო! **მიყევით ჩვენს მაგალითს. არც ერთი წუთით არ შეანელოთ სათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვება, უახლოეს დღეებში დაამთავრეთ ის. შეამოწმეთ ვარგა თუ არა თესლი (ჩვენ ყოველ 15 დღეში ვამოწმებთ გამოყოფილი თესლის მდგომარეობას) დაიცავით ის ჭირდების და მტაცებლებისაგან და მიიღეთ ყველა ზომა თვითეული კოლმეურნეობა, თვითეული ბრიგადა, აქედანვე იქნეს უზრუნველყოფილი 1934 წლის საჭირო პირველხარისხოვანი თესლით.**

ეს იქნება მთელს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებებით დამთავრების მაჩვენებელი, ეს იქნება პირით საკოლმეურნეო ვაჭრობის დაწყებისა და გაშლის დაჩქარების აუცილებელი პირობა, ეს იქნება მომავალ წელს კიდევ მეტი მოსავლის მიღების საწინდარი, ეს იქნება პასუხი აქ ჩვენ **„პრავდას"** მოწოდებასა და ამხ. **ლ. ბერიას** მითითებაზე სოფლის მეურნეობის ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორების შესახებ.

შეკრების დავალებით

ლ. ჭყონია. ვ. ასკოლოვი. ბ. ჩიქოვანი. ი. ბაქრაძე. ნ. ბერიძე. ი. ბიბილეიშვილი. ა

უკრაინაში ნაცი ინალური პოლიტიკის გატარების შედეგები და ამოცანები

უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრ. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია, ამბ. **ს. ვ. კოსიორის** მოხსენების გამო, მიღებული 1933 წ. 22 ნოემბერს

I

იოსებ სტალინის ინდუსტრიალიზაციის და ხოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საფუძველზე, პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარების, ოპორტუნიზმის და ნაციონალიზმის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის საფუძველზე, უკანასკნელ წლებში მიღწეულია გადამწყვეტი წარმატებები უკრაინის წინანდელი კოლონიალური მდგომარეობის და, ამ მდგომარეობასთან დაკავშირებული კულტურული ჩამორჩენილობის საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში.

უკრაინის მეტალურგიის და ქვანახშირის მრეწველობის მძლავრი განვითარება (ახალი ქარხნების, და მაღაროების აგება, არხებულთა რეკონსტრუქცია), მანქანათმშენებლობის მთელი რიგი უდიდესი გეგანტების შექმნა (ხარკოვის სატრაქტორო ქარხანა, კრამატორიის ქარხანა, ლუგანსკის ორთქლმავალმშენებელი ქარხანა, ხარკოვის სატყო ბინო ქარხანა და სხვ.), ქიმიური მრეწველობის ზრდა, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარება, უდიდესი ელექტროსადგურების აგება (დნეპრჰესი, „შტეროვკა“, „ზუევკა“) ნიშნავს არა მარტო იმას, რომ უკრაინის სამრეწ. პროდუქციამ უალრესად იმატა, ხახელდობრ თითქმის 2,5 ჯერ პირველი ხუთწლედის განმავლობაში; იგი მოასწავებს ავტოვეთ უდიდეს ხარისხობრივ ძვრას ამ მრეწველობის ხასიათისა და სტრუქტურაში (მექანიზაცია მეტალურგიის და ქვანახშირის ამოღების დარგში, საამშენებლო საქმეში, მანქანათმშენებლობის ახალი ტექნიკა და სხვ.). იგი მოასწავებს ქალაქების ბუმბერაზულ ზრდას, ახალი სამრეწველო ცენტრების შექმნას, არსებულთა გაფართოებას. იგი მოასწავებს უკრაინის სოფლიდან გამოსულ მუშათა უდიდესი მასების ჩაბმას სამრეწველო წარმოებაში, უკრაინელთა ხვედრითი წონის გაძლიერებას უკრაინის პროლეტარიატის და ქალაქის მოსახლეობის შემადგენლობაში

სოფლად საკოლმეურნეო წყობილების დამყარება, კულაკური კბალის ლიკვიდაცია, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების ფართოდ განვითარება მოასწავებს გადამწყვეტ რევოლუციას უკრაინის სოფლის მეურნეობაში, ბის გადაქცევას სოციალისტურ საფუძველზე, ჯერ კიდევ გუშინ ჩამორჩენილი და დაჩაგრული სოფლის მეურნეობის მაშინებზაციას, მისი შემოსავლიანობის უდიდეს ზრდას, ქალაქისა და სოფლის ერთმანეთისათვის დაპირისპირების ლიკვიდაციის დასაწყისს. სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა მოასწავებს ავრეთვე იმას, რომ გლეხთა და მუშათა მილიონები ეზიარებენ ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ კულტურას, კაპიტალიზმის დროს მრეწველობის განვითარება უკრაინაში იწვევდა უკრაინის მშრომელი მასების შემდგომ გაღატკეცებას, შემდგომ სოციალურ და ნაციონალურ დამონებას.

საბჭოთა ხახელმწიფოს სოციალისტური მრეწველობის განვითარება წარმოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრი ბაზის საფუძველს, უკრაინის მშრომელი მასების სოციალისტური და ნაციონალური განთავისუფლების საფუძველს.

სწორედ ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ბოლშევიკური ტემპები, რომლებსაც პარტია ახორციელებდა კლასობრივ მტერთან და მის ოპორტუნისტულ აგენტებთან ულმობელი ბრძოლით, ქმნიდა მატერიალურ ბაზას უკრაინის საბჭოთა კულტურის ისეთი ზრდისათვის, რომლის მსგავსი გაუგონარია ჩაგრული ეროვნებების ისტორიაში, მტკიცე ბაზას ხახელმწიფო აპარატის მოსახლეობის მშობლიურ ენაზე გადაყვანისათვის, უკრაინის ხახელმწიფოებრივობის განმტკიცებისათვის შექმნილია უკრაინული სკოლების ქსელი, რომლებშაც 1933 წლის ზაფხულისათვის ითვლებოდა 4.200 ათასზე მეტი ბავშვი (უკრაინული ეროვნების სასკოლო ასაკის ბავშვთა 98 პროცენტი). უკრაინულ ენაზე დაარსებულია უმაღლესი სასწავლებელი და ტექნიკუმები, მუშფაკები, რომლებშაც ამჟამად სწავლობს 350 ათასი კაცი, მათ შორის სამი მეოთხედი—მუშების და გლეხების ბავშვები არიან. მიღწეულია უკრაინული ბეჭდვითი სიტყვის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების არაჩვეულებრივი განვითარება. ძირითადად განხორციელებულია უკრაინის ქალაქის და სოფლის მოსახლეობის წერა-კითხვის საყოველთაო მცოდნეობის ამოცანა. მძლავრი სამეურნეო აღმავლობა, რომელშაც ფეხი შესდგა უკრაინამ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ფეხრით, ქმნის ბაზას მშრომელი მასების კეთილდღეობის შემდგომი გადიდებისათვის, უკრაინის საბჭოთა კულტურის მძლავრად აყვავებისათვის.

პარტიამ უკრაინაში ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების მხრით ამ უკანასკნელ წარმატებებს მიაღწია იმით, რომ ანადგურებდა რა ბოლშევიკური უკრაინიზაციის საქმის ჩაშლის ცდებს რუს დიდმპყრობელურ შოვინისტების მხრივ, რომელიც გაგლენას ახდენენ პარტიის ცალკე ფენებზე. ამასთან ერთად პარტიამ გაანადგურა უკრაინელი ნაციონალისტების და პარტიის შიგნით მათი აგენტურის ცდები ბოლშევიკური უკრაინიზაცია გამოეყენებინათ უკრაინის ბურჟუაზიის პოზიციის განსამტკიცებლად და საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორებისა, რაც კაპიტალისტურ რესტავრაციას მოასწავებდა. 1926—28 წლებში უკრაინის კომუნისტურმა პარტიამ ამჟილა შუბკიის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც კომუნისტური ფრაზეოლოგიით ჩქმალავდა თავის ბურჟუაზიულ--რესტავრატორულ ზრახვებს, ობოლიცელებივით რა ნამდვილად იმ უცხოელი იმპერიალისტების დირექტივებს, რომელნიც საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორების გზით ცდილობდენ აღედგინათ უკრაინაში კაპიტალისტების და მემამულეების ხელისუფლება და თავის ინტერესებში გამოეყენებინათ უკრაინა. შუბკიჯობი, რომელიც ქალაქებში უკრაინის გამოთიშვას საერთაშორისო რევოლუციის ცენტრის—მოსკოვისაგან, უკეე მაშინ შეაფასა პარტიამ, როგორც უკრაინული ფაშიზმის გამოხატულება.

ნაციონალური პოლიტიკის წარმატებით განხორციელება პარტიისათვის წარმოადგენდა და წარმოადგენს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცების, მასების კომუნისტური გავლენის გაძლიერების, მათი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების მხედველობაში აღზრდის, სხვადასხვა ერის მუშათა და მშრომელი მასების ურთიერთ ნდობის განმტკიცების, ყველა ერის ექსპლოატატორთა წინააღმდეგ მათი ერთიანი ფრონტის განმტკიცების მძლავრ იარაღს. „ოქტომბრის რევოლუციის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მან საბჭოთა კავშირში ეროვნულ კულტურული რევოლუცია ჩაატარა არა ეროვნული მტრობისა და ეროვნული შეტაკებების დროშით, არამედ საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მუშების და გლეხების ურთიერთ დაახლოების დროშით, არა ნაციონალიზმის, არამედ ინტერნაციონალიზმის შემწეობით“. ამბ. სტალინის ეს სიტყვები შეიძახა არა მარტო ოქტომბრის რევოლუციას, არამედ აგრეთვე ჩვენი პარტიის მთელს ეროვნულ პოლიტიკას.

II

ჩვენი პარტიის გადასვლა მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის, კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთების ძირფესვიანად აღმოფხვრის პოლიტიკაზე წაიწყდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ელემენტების, განსაკუთრებით უკრაინის კულაკობის და პარტიის შიგნით მათი აგენტურის გააფთრებულ წინააღმდეგობას.

თავის საწარმოო ბაზიდან განდევნილი ბურჟუაზიულ-კულაკური ელემენტები განაგრძობდენ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, შეცვლილ პირობებში მიმართავდენ შემპარავად მოქმედების ახალ ტაქტიკას, ძგერებოდენ ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამხედრო-სატრაქტორო სადგურებში, კოლმეურნეობებსა და თვით პარტიულ ორგანიზაციებში; ისინი ცდილობდენ მათ განარჩევნ შიგნიდან და განსაკუთრებით ფართოდ იყენებდენ მოტყუების, თვალთმაქცობის და შენიღბვის მეთოდებს. ამ ახალი ტაქტიკის სულისჩამდგმელნი იყვნენ უკრაინის კონტრრევოლუციის ძველი ბელადები—ვინიჩენკო, გრუშევსკი, შაპოვალი და სხვ.

კაპიტალიზმის შედარებით სტაბილიზაციის დასასრულს, რევოლუციების და ომების ახალ ტურში გადასვლა, მანჯურიის და ჩრდილოეთ ჩინეთის ოკუპაცია იაპონიის მიერ მოასწავებდა საბჭოთა კავშირზე სამხრი თავდასხმის საფრთხის გაძლიერებას. ამასთან დაკავშირებით საინტერვენციო გეზი გადაიქცა უკანასკნელი წლების მანძილზე უკრაინაში აღმოჩენილ ყველა იმ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციათა ძირითად გეზად, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული იყვნენ გერმანიის და პილონეთის ფაშიზმთან. ეს შეეხება ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც იყო „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“ („სუე“), რომელსაც მეთაურობდენ პეტლიურას ყოფილი მინისტრები ეფრემოვი, ჩეხოვსკი და ნიკოვსკი და „უკრაინელ ნაციონალისტების გაერთიანება“ („სუნ“) გერმანელ ფაშისტების აგენტის, კოევის მუშების ჯალათის —კონოვალეცის ხელმძღვანელობით. გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარება, გერმანელი ფაშისტებისა და ანგარიშელი შუბლმაგრების მიერ რუხის და უკრაინელი თეთრგვარდიელებისათვის პირდაპირი დახმარების გაწევა, საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორების აშკარა პროპაგანდა გერმანიის ფაშისტურ პრესაში. პოლონეთის პასუხისმგებელი ფაშისტური წრეების (სანაციას, მიცკევიჩის) საჯარო გამოსვლა პოლონეთის და ფაშისტური გერმანიის ანტისაბჭოთა ბლოკის სასარგებლოდ და, ბოლოს, ბრძოლა პოლონეთის და გერმანიის ფაშისტურ წრეების შორის უკრაინის კონტრრევოლუციის ბანაკში ჰეგემონიის მოპოვებისათვის—ყოველივე ეს ეჭვს შვ ხელს უწყობდა განადგურებულ კაპიტალისტურ ელემენტების ნაშთების კონტრრევოლუციურ აქტივობას საბჭოთა უკრაინაში. იმავე მიზეზებმა გამოიწვია ანტისაბჭოთა აქტივობის განძლიერებული ზრდა დასავლეთ-უკრაინის ბურჟუაზიის მხრით, უკრაინის წინანდელ წვრილბურჟუაზიული პარტიების — სოციალისტ რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების და სხვ. აგენტების მხრით, რომელნიც მიექარვნენ პოლონელ და გერმანელ მემამულეებს და კაპიტალისტებს. ეს ნაშთები მუდამ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კულაკურ-პეტლიურიულ ელემენტებთან საბჭოთა უკრაინაში და თავის კონტრრევოლუციური მუშაობის აწარმოებდენ უცხოეთის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციათა ძირითად გეზად, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულ იყვნენ გერმანიის და პილონეთის ფაშიზმთან. ეს შეეხება ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც იყო „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“ („სუე“), რომელსაც მეთაურობდენ პეტლიურას ყოფილი მინისტრები ეფრემოვი, ჩეხოვსკი და ნიკოვსკი და „უკრაინელ ნაციონალისტების გაერთიანება“ („სუნ“) გერმანელ ფაშისტების აგენტის, კოევის მუშების ჯალათის —კონოვალეცის ხელმძღვანელობით. გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარება, გერმანელი ფაშისტებისა და ანგარიშელი შუბლმაგრების მიერ რუხის და უკრაინელი თეთრგვარდიელების მიერ პირდაპირი დახმარების გაწევა, საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორების აშკარა პროპაგანდა გერმანიის ფაშისტურ პრესაში. პოლონეთის პასუხისმგებელი ფაშისტური წრეების (სანაციას, მიცკევიჩის) საჯარო გამოსვლა პოლონეთის და გერმანიის ანტისაბჭოთა ბლოკის სასარგებლოდ და, ბოლოს, ბრძოლა პოლონეთის და გერმანიის ფაშისტურ წრეების შორის უკრაინის კონტრრევოლუციის ბანაკში ჰეგემონიის მოპოვებისათვის—ყოველივე ეს ეჭვს შვ ხელს უწყობდა განადგურებულ კაპიტალისტურ ელემენტების ნაშთების კონტრრევოლუციურ აქტივობას საბჭოთა უკრაინაში. იმავე მიზეზებმა გამოიწვია ანტისაბჭოთა აქტივობის განძლიერებული ზრდა დასავლეთ-უკრაინის ბურჟუაზიის მხრით, უკრაინის წინანდელ წვრილბურჟუაზიული პარტიების — სოციალისტ რევოლუციონერების, სოციალ-დემოკრატების და სხვ. აგენტების მხრით, რომელნიც მიექარვნენ პოლონელ და გერმანელ მემამულეებს და კაპიტალისტებს. ეს ნაშთები მუდამ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი კულაკურ-პეტლიურიულ ელემენტებთან საბჭოთა უკრაინაში და თავის კონტრრევოლუციური მუშაობის აწარმოებდენ უცხოეთის კონტრრევოლუციურ ორგანიზაციათა ძირითად გეზად, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებულ იყვნენ გერმანიის და პილონეთის ფაშიზმთან. ეს შეეხება ისეთ ორგანიზაციებს, როგორიც იყო „უკრაინის განთავისუფლების კავშირი“ („სუე“), რომელსაც მეთაურობდენ პეტლიურას ყოფილი მინისტრები ეფრემოვი, ჩეხოვსკი და ნიკოვსკი და „უკრაინელ ნაციონალისტების გაერთიანება“ („სუნ“) გერმანელ ფაშისტების აგენტის, კოევის მუშების ჯალათის —კონოვალეცის ხელმძღვანელობით. გერმანიაში ფაშისტური დიქტატურის დამყარება, გერმანელი ფაშისტებისა და ანგარიშელი შუბლმაგრების მიერ რუხის და უკრაინელი თეთრგვარდიელების მიერ პირდაპირი დახმარების გაწევა, საბჭოთა კავშირისაგან უკრაინის ჩამოშორების აშკარა პროპაგანდა გერმანიის ფაშისტურ პრესაში. პოლონეთის პასუხისმგებელი ფაშისტური წრეების (სანაციას, მიცკევიჩის) საჯარო გამოსვლა პოლონეთის და გერმანიის ანტისაბჭოთა ბლოკის სასარგებლოდ და, ბოლოს, ბრძოლა პოლონეთის და გერმანიის ფაშისტურ წრეების შორის უკრაინის კონტრრევოლუციის ბანაკში ჰეგემონიის მოპოვებისათვის—ყოველივე ეს ეჭვს შვ ხელს უწყობდა განადგურებულ კაპიტალისტური

კონკურსი საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე

მოწინავე მზეთავეების გამოცდილება—ჩამორჩენილს

ოქტომბერი, 28 ნოემბერი 1933 წ. № 273 (3829)

(„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ოქტომბერში, როდესაც ვამუშავებდით „კომუნისტის“ ინიციატივით გამოცხადებული კონკურსის საკითხებს, ტფილისის უბნის მზეთა ტები საყვედურს გამოსთქვამდენ ბაშურის მზეთავებსა და გამსინჯველებზე. მაშინ აღვნიშნეთ, რომ ბაშურელი მზეთავები არ მუშაობენ შესაფერისად, აბარებენ შეუმოწმებელ შემადგენლობებს, რომ მათ არა აქვთ დასასვენებელი ბინა, იარაღების საზეთავი ჭურჭლის შესანახი ადგილი და სხვა.

საჭირო იყო მდგომარეობის შესწავლა და ამ ნაკლის გამოსასწორებლად ზომების მიღება, ამ დასკვნამდე მივედით მაშინ, ჩვენ და გადავწყვიტეთ ტფილისელ და ბაშურელ მზეთავების შეხვედრის მოწყობა.

ეს განზრახვა 25 ნოემბერს იქნა მოყვანილი სისრულეში. ტფილისელ მზეთავების დელეგაცია ამხ. ხარებოვის, ბარგველაშვილის, ლორიას და ბანცაძის შემადგენლობით ესტუმრა ბაშურელ ამხანაგებს.

დელეგაციამ „კომუნისტის“, „ელვის“ საშუალებით *) მიმართა ბაშურელ მზეთავებს კოლექტიური წერილით, სადაც ნაჩვენები იყო კონკურსის მიმდინარეობის ახლანდელი სურათი და ბაშურში დელეგაციის ჩასვლის მიზნები.

„საჭიროდ თქვენთან, რომ ვიმსჯელოთ საწარმოო საკითხებზე, გაუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილებანი, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის ნამდვილად გარდაქმნის და „კომუნისტის“ კონკურსში გამარჯვებისათვის“ — წერდენ ტფილისელი ამხანაგები ბაშურელებს.

დღის 12 საათია. მორიგეობისაგან თავისუფალ მზეთავებს თავი მოუყრიათ ბაშურის სავაგონო დეპოს პარტკომში. ისინი დიდი აღფრთოვანებით შეხვდენ ტფილისელ ამხანაგებს. იწყება თათბირი.

ბაშურის სავაგონო უბნის უფროსი ამხ. ხარებოვი გვაცნობს უბნის მზეთავების შუშაობას. ციფრებს მოწმობენ, რომ მზეთავების მუშაობაში მოხდა თვალსაჩინო გარდატეხა, მკვირდება მათი მიზეზით ბუქსების წვის და ვაგონების ავსნის შემთხვევები. სექტემბერში ამ უბანზე ადგილი ქონდა ვაგონის ავსნის 27 შემთხვევას, აქედან მზეთავის მიზეზით 7 ვაგონი ავსნა, ოქტომბერში ავსნილ 22 ვაგონიდან მზეთავის მიზეზით მხოლოდ 4 ავსნა, 26 ნოემბრამდე კი მზეთავთა მიზეზით არ ავსნილა არც ერთი ვაგონი.

რამ შეუწყო ამას ხელი?

— მზეთავთა კვალიფიკაციის ამაღლებამ, — იძლევა პასუხს ამხ. ხარებოვი, რომელიც იქვე დაასძენს, რომ ყველა მზეთავი ჩაბმულია ტექმინიმუმის შემსწავლელ წრეებში. სატესტაციო კომისიამ ორჯერ შეამოწმა უბნის მზეთავთა კვალიფიკაცია. 1. აგვისტომდე და ოქტომბერში. უკანასკნელად 5 კაცი აღმოჩნდა სუსტი, რომელთაც აეკრძალათ ბუქსებზე მუშაობა სამსახურიდან მოხსნეს მზეთავები **ხოგელიძე**, რომელმაც დასწვა ბუქსი და გააცდინა დღე და **მოგელაძე**, რომელმაც შეადგინა ყალბი ცნობები. მზეთავი **პაპუაშვილი**, რომელიც არ ესწრებოდა ტექმინიმუმის წრის შეცადინეობას, გადაყვანილ იქნა ზეინკლად დეპოში. ახლა ბაშურის უბანზე მუშაობს 22 პირველი თანრიგის და 10 მეორე თანრიგის მზეთავი.

მრავალი დაბრკოლება უშლიდა ხელს ბაშურის უბნის მზეთავების მუშაობას. აგვისტოში და სექტემბერში მათ არ მოეპოვებოდათ მოხარშული მაზუთი და ხმარობდენ ჩვეულებრივს. დეპო უშვებდა ცუდათ შეკეთებულ ვაგონებს. იყო შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ვაგონი ამ მიზეზით სამჯერ აიხსნა გზაში. საგეზო მატარებლების ბუქსები არ იყო დაცული კარგად. ეხლაც ხვდებიან ისეთ ვაგონებს, რომელთა ბუქსებში ამოშსაკრავები არაა კარგად გამართული.

ვაგონების ავსნას ყველაზე ხშირად გრაკალსა და ბაშურს შორის ხდება. ეს გამოწვეულია ამ უბნის ერთგვარი გაუპიროვნებით, რადგან გარკვეული არ არის ვინ უნდა მოემსახუროს უბანს. ტფილისის თუ ბაშურის მზეთავები. უბანი ამ მხრივ არსებითად გაუპიროვნებელი ია. ამხ. ხარებოვი სვამს საკითხს, რომ მოისპოს ეს გაუპიროვნება და უბანი გრაკალიდან-ბაშურამდე გადაეცეს ან ტფილისს, ან ბაშურს.

ვერ არის მოგვარებული შემადგენლობათა გადაცემა მზეთავების ძირ გამსინჯველებისათვის და პირიქით.

— მზეთავები მატარებლის შოსტვლისთანავე სადღაც „იკარგებიან“ —ამბობს ამხ. ხარებოვი. ისინი ამხრებენ შემადგენლობას გამსინჯველებს ისე, რომ არ უთითებენ შემჩეულ დეფექტებზე. გამსინჯველები ბაშურის მზეთავებს კოლექტიურ წერილით, სადაც ნაჩვენები იყო კონკურსის მიმდინარეობის ახლანდელი სურათი და ბაშურში დელეგაციის ჩასვლის მიზნები.

„საჭიროდ თქვენთან, რომ ვიმსჯელოთ საწარმოო საკითხებზე, გაუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილებანი, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის ნამდვილად გარდაქმნის და „კომუნისტის“ კონკურსში გამარჯვებისათვის“ — წერდენ ტფილისელი ამხანაგები ბაშურელებს.

ამხ. **ბანცაძე** (ტფილისი). მე უნდა აღვნიშნო, რომ ბაშურელი ამხანაგები ზოგჯერ შეუმოწმებელ ვაგონებს გვაბარებენ. ამას წინად 13 ფურცლიან რესორის ნაცვლად ვაგონს 12 ფურცლიანი რესორი დაადგეს. ანდა ასეთი შემთხვევა: მატარებლის მისაღებად გამოვედი, ვეკითხები გამსინჯველს არის დეფექტი თუ არა; მიპასუხებს რომ არ არისო, გასინჯვისას კი გამოვარკვიე, რომ ერთ ვაგონზე საბუფერო ჭიქა მხოლოდ ერთი ჰანჭიკით არის დამაგრებული.

მე მთავარ ყურადღებას აქეთკენ მივაქცევ, თუ ეს დიდი ნაკლი არ გამოსწორდა(თუ არ აღმოიფხვრა შემადგენლობების ერთმანეთისათვის ხელში შეჩერების ტენდენცია, ისე არაფერი არ გამოვა.

ამხ. მარგველაშვილი (ტფილისი) ამ საკითხზე ჩერდება. გამსინჯველებმა უნდა იცოდენ — ამბობს იგი—რომელი ვაგონები ებმება მატარებელს და ამის შესახებ თავის დროზე შეატყობინონ მზეთავებს.

ამხ. **ზუმბაძე** (ბაშური). ვრცლად ეხება ზესტაფონელ გამსინჯველების მუშაობას. არც ერთი მათგანი არ გიტყვით — ამბობს ამხ. ზუმბაძე, თუ რა სტკივა ვაგონებს ეს გარდა დაუდევრობისა, მათი უვიცობითაც აიხსნება. ისინი ზოგჯერ გვიძახებენ სწორედ მატარებლის გასვლის მომენტში, ისინი განგებ აგვიანებენ ჩვენს გამოძახებას. ამის გამო მიმწოლ ორთქლმავლების მიბმის შემდეგ გვიხდება უვაგრის ვაგონების გამორიცხვა შემადგენლობიდან, რაც აფერხებს მოძრაობას. ამასთან ძალზე დაშორებულია სადგურიდან მზეთავების მოსაცდელი ოთახი. არ არის მასთან გაბმული სატელეფონო კავშირი, რაც აყოვნებს ჩვენს გამოძახებას.

ზესტაფონის გამსინჯველებს უსაყვედურებს აგრეთვე მზეთავ- ამხ. **ნადირაძე** (ბაშური).,

ამხ. თუდისანი (ბაშურის დეპოს პარტკ. მდივანი) გამოცდილების გაზიარებაა მიზნით, მოუთხრობს ტფილისელ ამხანაგებს, რომ მათ ნავაროსკის მაგალითის მიხედვით შემოიღეს 1—1½ საათით ადრე მზეთავის მიერ მატარებლების მიღება. ეს წესი ადგილობრივად შედგენილ მატარებლებზე სრულდება. საგეზოებზე კი არა, რადგან სადგურში არ იწყება მათი მოსვლის დროს. ჩვენ დავაწესეთ, რომ გამსინჯველს შემადგენლობის შემოწმების დროს თან ახლდეს მზეთავიც;

ამხ. თუდისანი აღნიშნავს, რომ მაზუთის ბაკი მოთავსებულია დეპოს ტერიტორიაზე; მზეთავს უხდება მატარებლების ქვეშ ძრომა, რომ მაზუთი აიღოს; საჭიროა ბაკის გადატანა გამსინჯველთა სამორიგეო ოთახთან. საჭიროა აგრეთვე მზეთავის იარაღის შესანახ ყუთების შეკეთება.

ტფილისის უბნის გამსინჯველებიც ვერ მუშაობენ შესაფერისად, მათ იციან, რომ ღელტეხილზე გასაშვები მატარებლები ბაშურში დეტალურად უნდა გაისინჯოს და ამიტომ ზოგჯერ ზერელედ დათვალიერებულ შემადგენლობას უშვებენ ბაშურიდან. ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ორი უბნის მზეთავების შეხვედრით ამხანაგები მეტად კმაყოფილი დარჩენ. გამოითქვა აზრი, რომ ასეთი პრაქტიკა ფართოდ იქნეს გავრცელებული, რაც ხელს შეუწყობს მზეთავების დაახლოვებას და მათი მუშაობის გაუმჯობესებას. თათბირმა დაადგინა ტფილისელ ამხანაგების მომართვა-წერილი დამუშავდეს ყველა ცვლაში.

ამხ. ხარებოვი დაპირდა თათბირს, რომ ყველა მზეთავი უბანზე უზრუნველყოფილი იქნება შესაფერისი საიარაღო ყუთებით და სამაზუთე ბაკი გადატანილი იქნება დეპოს ტერიტორიიდან სადგურის ტერიტორიაზე.

სასურველია, რომ მსგავსი შეხვედრა მოეწყოს სხვა უბნებზეც. კერძოდ ხაშურის და ბათომის უბნებზე ამ საქმეს სათავეში გაუძღვეს „დამკვრელ რკინის გზელის“ რედაქცია უნდა ჩაუდგეს.

ან კელენჯერიძე.

რკინისგზების ტრანსპორტის უნდა იმუშაოს საათის მექანიზმივით

მშრომელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი ელვა!

საქ. კ პ (ბ) ცენტრ. და ტფ. კომიტეტების და ტფ. კომიტეტის ორგანო

ხაშურის საკავშირო დეპო № 12 საათი . 3ქ . წელი . 25. ნოემბერი 1933 წ. №

ჩვენი პროლეტარული სალამი ხაშურელ ამხანაგებს!

ჩვენ, ტფილისის კვანძის მზეთავები მოვედით თქვენთან, რომ ვიმსჯელოთ საწარმოო საკითხებზე, გაუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება, დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებები მუშაობის ნამდვილად გარდაქმნისა და „კომუნისტის“ კონკურსში გამარჯვებისათვის.

ხაშურის უბნის მზეთავებო! ჩვენ თქვენთან ერთად ჩაბმული ვართ „კომუნისტის“ ინიციატივით გამოცხადებულ საგზაო კონკურსში საუკეთესო მზეთავსა და სავაგონო დეპოზე.

უკვე ორმა თვემ განვლო, რაც ეს კონკურსი მიმდინარეობს, მის დამთავრებამდე ერთი თვე დარჩა. და განვლილი ნახევარი კვარტალის შედეგები არ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. კონკურსის საბრძოლო ამოცანა — **„ბუქსების წვის არცერთი შემთხვევა“** — შესრულებული არ არის. ჩვენ უბანზე ოქტომბერში ადგილი ქონდა ბუქსების წვის მიზეზით ვაგონების ავსნის 31 შემთხვევას, ნოემბრის პირველ ნახევარში კი 22-ს. არც თქვენ მუშაობთ უკეთ. ოქტომბერში ბუქსის გადაწვის გამო თქვენს უბანზე აიხსნა 4 ვაგონი, ნოემბრის პირველ ნახევარში კი 12. როგორც ხედავთ, მდგომარეობა საგანგაშოა.

სერიოზულად უნდა ჩავუფიქრდეთ ამხანაგებო ამ მდგომარეობას; უნდა დავძირავშმოთ იმისათვის, რომ, ბუქსების წვის გამომწვევი მიზეზები მოვსპოთ, რომ ჩვენს უბნებზე პირველ იანვრისათვის არ ექნეს ადგილი ბუქსების წვის არცერთ შემთხვევას ჩვენი მიზეზით.

ჩვენ ამ საკითხებზე უნდა ვიმსჯელოთ დღეს, ვიმხილოთ ჩვენს რიგებში შემოპარული უცხო ელემენტები, რომლებიც უგულოდ ეკიდებიან საქმეს, წვავენ ბუქსებს; მათ ადგილი არ უნდა ექნეთ ჩვენს შორის, როგორც თქვენ, ისე ჩვენც გვყავს **ნაგორსკის** ტიპის საუკეთესო მზეთავები, რომლებიც იძლევიან კარგი მუშაობის ნიმუშებს; თითობრზე, ამ ამხანაგებმა უნდა გვიამბონ თავიანთი მუშაობის შესახებ.

ჩვენ, ორი უბნის მზეთავებს, შრავალი საერთო-საწარმოო საკითხები გვაქვს მოსაგვარებელი, ვილაპარაკოთ მათზე, გამოვასწოროთ ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს მატარებლების გადაცემის დროს, არ დავუშვათ ბუქსის წვის არცერთი შემთხვევა.

ამ დავალების მთლიანად შესრულების პატივით უნდა წარვსდგეთ ჩვენ კვარტალის ბოლოს პარტიის, ხელისუფლების და ჩვენი კონკურსის ორგანიზატორის — „კომუნისტის“ რედაქციის წინაშე.

ტფილისის უბნის მზეთავების დავალებით:

1. **ვ. ჯოჯუაძე.**
2. **მარგველაშვილი.**
3. **ლორია.**
4. **ბანცაძე.**

კულტურული მშენებლობა

ვამოწმებთ საქ. კ. პ. (ბ) ც.-კ-ის 2 ოქტომბრის დადგენილების შესრულებას

უზრუნველყოთ სკოლები რუსული ენის კვალიფიციური მასწავლებლებით

რუსული ენის სწავლება მეცნიერულ დონეზე

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას 2 ოქტომბრის დადგენილების რეალიზაციის მიზნით ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა თავის გადაუდებელ ამოცანად დასახა რუსული ენის სწავლების თეორიული და პრაქტიკული (ორგანიზაციული) საკითხების დამუშავება.

სრულიად ბუნებრივია, რომ რუსული ენის შესწავლისადმი გაცხოველებული მისწრაფებაა ჩვენს საზოგადოებრიობაში. რუსულ ენაზე ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. ამ ენაზე არსებობდა და განსაკუთრებით რევოლუციის წლებში შეიქმნა უდიდესი ნაწარმოებები მეცნიერული და მხატვრული ხასიათისა. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსული ენის სწავლება ჩვენს სკოლებში ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. რა თქმა უნდა, საამების სიმცირესაც აქვს მნიშვნელობა, რუსული ენის მასწავლებელთა დაბალ კვალიფიკაციასაც და შესაფერის სახელმძღვანელოების უქონლობასაც. მაგრამ უმთავრესი ის, რომ არაა დამუშავებული საბჭოეთის ბაგო. მეთოდი რუსული ენის სწავლებისა ქართველისათვის. ამიტომაა, რომ ზოგიერთის წარმოდგენით რუსულ ენა ფრიად ძნელ ენადაა მიჩნეული.

რუსულ ენის სწავლების მ საავარებლად და გასაადვილებლად აუცილებელია მეცნიერულად იქნეს შესწავლილი რუს. ენის **სპეციალური სიძნელეები**, ქართულის მცოდნისათვის; ამისათვის კი აუცილებელია ორივე ენის ბგერითი და გრამატიკული მხრივ დეტალურად შედარებითი გათვალისწინება. ყოველი მეთოდი და ორგანიზაციული ფორმა ენის შესწავლისა მეორე მხრივ დეტალურად შედარებითი გათვალისწინება. ყოველი მეთოდი და ორგანიზაციული ფორმა ენის სწავლებისა ჩვენს სკოლებში ეფუძნებოდეს ამ ორივე ენის ბგერითი და გრამატიკული სისტემების ცოდნას. ამ ორივე ენის ბგერითი სისტემის ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვმა ენის ბგერები სწორად გამოთქვას, ენის ბგერები ერთმანეთისაგან გაარჩიოს, ენის ბგერები სწორად დაწეროს. ორივე ენის გრამატიკული სისტემის ცოდნა აუცილებელია იმისათვის, რომ ბავშვმა ენის ფორმები სწორად გამოიყენოს, სწორად ააგოს წინადადება, სწორად ააგოს ტექსტი.

ამ ორივე ენის ბგერითი და

მეორე რიგის ზაჰესი

იანვარში ამუშავდება



მარცხნიდან მარჯვნივ — ლენინგრადის ამხ. სტალინის სახელობის მექანიკური ქარხნის ბრიგადა, რომელმაც დაკვრითი წესით ჩაატარა შვედური ტურბინის მონტაჟი; ბეტონის სამუშაოების საუკეთესო დამკვრელი ამხ. ი. თაბუაშვილი. რეგულატორის დადგმა შვედური ტურბინისათვის; სამოსამსახურო ხიდის შეფიცვრა და საარმატურო სამუშაოები.

პირველ რიგის ზაჰესის ამუშავების დღიდან შვიდმა წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჰიდრო - ტექნიკური ნაგებობები უნაკლო მომსახურებას უწევენ საგენერატორო სადგურს. ოთხივე აგრეგატი ყოველგვარი რემონტის გარეშე მუშაობს. ეს დიდი გამარჯვებაა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, **ეს შესრულებული სამუშაოების მაღალ ხარისხს მოწმობს.**

შვიდი წლის განმავლობაში შეიცვალა ჩვენი ქვეყნის სახე. ზაჰესი ერთ აქმაყოფილებს სოციალისტური მშენებლობის გაზრდილ მოთხოვნილებებს. უკვე 1929 წელს დაიწყო გაფართოების საკითხი. 1930 წელს დაიწყო ზაჰესის გაფართოება. მისი გამომუშავება 12.400 კილოვატ საათიდან 37.000-მდე უნდა ასულიყო. ამ მიზნით გადაწყდა **ორი** უახლოესი შვედური სისტემის („კაპლანი") 17 ათასი ცხენის ძალიანი ტურბო-გენერატორის დადგმა.

მშენებლობის წინაშე მეტად სერიოზული ამოცანები იდგა. ეს იყო დიდი ზომის კლდის სამუშაოების ჩატარება საგენერატორო სადგურის ასაგებ ადგილის მოსამზადებლად, მშენები მილების და საწნევო აუზის მშენებლობა, ორი მეტად რთული სისტემის ტურბინის და მაღალი ჭინვის ღია ქვესადგურის მონტაჟი. ამ ამოცანების გადაჭრა მშენებლობის ხელმძღვანელებმა პარტიისა და ხელისუფლების მიერ მოცემულ ვადებში ვერ წარმოუნველყოფდნენ. ორმა წელმა მუშებისათვის ბინების მომზადებაში, სამეურნეო ქარხნებსა და უცხოეთში დაკვეთის განაწილებასა და ქვაბა-ხის ნაწილობრივად მომზადებაში განვლო. 1933 წლის დამდეგს მშენებლობის ტექნიკური მზადყოფნა 87 პროცენტს შეადგენდა.

პოუმნელი და სუსტი ხელმძღვანელობის გამო, მშენებლობა ფინანსებით არ იყო უზრუნველყოფილი. არ ქონდათ საშენი მასალის საჭირო რაოდენობა, მეტად უსუსტი იყო მუშათა მომარაგება, რაც მუშა-ხელის ნაკლებობას და განუწყვეტელ დენადობას იწვევდა.

ამ გარემოებამ მიაყოო პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ყურადღება.

საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-მა სპეციალური დადგენილებით ბოლშევიკური ენალიზი გაუკეთა მდგომარეობას, მეორე რიგის ზაჰესი გამოაცხადა დამკვრელ მშენებლობად, გადაახალისა ხელმძღვანელობა და გამოიწუშავა სამუშაოთა ორგანიზაციის ახალი სისტემა. ეს იყო 1933 წლის დასაწყისში. ამ დღიდან სულ სხვა ტემპით გაიშალა მუშაობა. მშენებლობის ტემპები და სამუშაოთა ხვლელობის ინტენსივობა 9—ჯერ გაიზარდა, მუშათა მომარაგების გაუმჯობესების გზით, მშენებლობაზე მუშა-ხელის დენადობა შეწყდა. მშენებლ. საწარ. აპარატი შეიქსო ახალი ენერგიული ძალებით. გაუმჯობესდა მშენებლობის ფინანსიური მდგომარეობა და ყველა სამუშაო უზრუნველყოფილ იქნა საშენი მასალით.

მუშებისა და ინჟენერ - ტექნიკოსების კოლექტივი, მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ქვეშ, დღითი-დღე წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

გორელი კოლმეურნეების ბრიგადამ, საუკეთესო ენტუზიასტების **ი. თაბუაშვილისა და ვ. თათიაშვილის** ხელმძღვანელობით დაკვრითი მუშაობის ისეთი მაგალითები გვიჩვენა, რომ ისინი შეგვიძლია დაუპირისპიროთ ტექნიკურად მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებში ჰიდრო-ელსადგურებზე დაბეტონების დარგში მიღწეულ „რეკორდებს". ეს ბრიგადა 200 პროცენტით გადაჭარბებით ასრულებდა თავის გეგმას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს კოლმეურნე ენტუზიასტის **ა. პავლუტენკოს** დურგლების ბრიგადა, რომელმაც დაკისრებული სამუშაო 100 პროცენტით და საუკეთესო ხარისხით შეასრულა. ასეთი მუშები მშენებლობაზე ბევრია. სწორედ ამაშია გამარჯვების მთელი „საიდუმლოება".

საგენერატორო სადგურის მშენებლობა თითქმის დამთავრებულია, ღია ქვესადგურს მონტაჟი დასრულდა და მის გამოცდამ საუკეთესო შედეგი მოგვცა. შვედური სისტემის საიმპორტო ტურბინა, 17.000 ცხენის ძალით, უკვე დადგმულია. შვედური ფირმის წარმომადგენელი შეფ-მონტიორი **სვანი** ცმაყოფილია სამუშაოთა მდგომარეობით და განსაკუთრებით ლენინგრადის ამხ. სტალინის სახელობის მექანიკური ქარხნის ბრიგადის მუშაობით, რომელმაც დაკვრითი წესით ჩაატარა მონტაჟი. დადგმული წაწილების ცალ-ცალკე შემოწმებამ საუკეთესო შედეგები გამოიღო.

ამჟამად წარმოებს საბჭოთა ქარხნის მიერ დამზადებული აგრეგატის დადგმა. აგრეგატის მონტაჟს სწარმოებს ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილა"-ს ბრიგადა დამთავრებულია საწნეო მილების შეფიცვრა და საარმატურო სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს შათი დაბეტონება. ამ დღეებში დამთავრდება ბურღვებისა და სამოსამსახურო ხიდის მშენებლობა, რის შემდეგაც ლენინგრადის მექანიკური ქარხნის ბრიგადა ჩაატარებს მონტაჟს.

რა მდგომარეობაშია მეორე საბჭოთა ტურბინის ამუშავების საქმე?

მზად არის ტურბინის ჩასადგმელი „ბუდე", მთავრდება საფასადო თაღების მშენებლობა. წყალის გასაშვები არხის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს. 3.500 კუბ. მეტრი კლდის სამუშაოებიდან უკვე შესრულებულია 2.000-ზე მეტი, დეკემბრისათვის ეს სამუშაოები დამთავრდება.

1934 წლის იანვარში **ზაჰესი — მეორე** გვირდში ამოუდგება ზაჰესს პირველს და რიონჰესს.

ქ. ნიშარაძე

კოლმეურნე კომკავშირელთა და უპარტიო ახალგაზრდობის შეკრება ბათომში

(ტელეგრაფით საქ. კო. რესპ. კომიტეტისაგან)

ბათომი, 26 ნოემბერი. გაიხსნა ბათომის რაიონის კოლმეურნე კომკავშირელთა და უპარტიო ახალგაზრდობის შეკრება, რომელიც მოწვეული იყო სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილების და ბათომის პარტიის რაიონული კომიტეტის ინიციატივით.

რაიონში კოლმეურნეობათა დგომარეობის შესახებ შეკრებაზე ხსენებით გამოვიდა პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. **ბაგაპში**, ცენტრსოვან ნარგავების შესახებ ნოხსენება გააკეთა პოლიტგანყოფისის მოადგილემ ამხ. **გამრეკლიძემ.**

შეკრებაზე გამარჯვებათა პატაკებით გამოვიდენ საუკეთესო კოლმეურნეობათა წარმომადგენლები. დამკვრელმა კოლმეურნემ ახმედ ვარშანძემ განაცხადა, რომ კოლმეურნეობა **„გლეხის გამარჯვებამ"** საწარმოო დავალებები გადაჭარბებით შეასრულა; გასულ წელთან შედარებით წელს კოლმეურნეობამ გაზარდა სოფაბ მოსავალი, მთლიანად დაამთავრა ყველა სახის სამუშაოები ჩაის დარგში, და წარმატებით შეასრულა ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე. **დამკვრელმა კოლმეურნეებმა საკოლმეურნეო შემოსავლით შეიძინეს ტრაქტორები, ააგეს ახალი სახლები და გადიდეს შეძლებული ცხოვრების გზას.**

— ჩვენ სამჯერ გავზარდეთ მოსავალი და შემოსავალი — განაცხადა შეკრებაზე ლენინის სახ. კოლმეურნეობის წარმომადგენელმა **ანანიძემ** და შემდეგ განაგძო:

— დურსუნ თედორაძემ, ისაკ ქავთარაძემ, და იბრაგიმ გოგოლაშიძემ, რომლებიც კოლმეურნეობაში შეცილამდე ღარიბათ ცხოვრობდენ, კოლმეურნეობაში შესვლის შემდეგ შეიძინეს ძროხები და ააგეს ახალი სახლები. კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის ჩაშარებას ან გარიშში წელს სახელმწიფოსაგან 142 წეგრზე მიიღო ხუთი ვაგონი ხორბალი.

შეკრების დასასრულს მოხდა საუკეთესო კოლმეურნეობის და კოლმეურნეების დაჯილდოება. პირველი ორი ჯილდო — პატეფონი, მიიღო ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ და კოლმეურნეობა „გლეხის გამარჯვებამ".

შეკრებამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს მდივანს ამხ. **ბერიას.**

ფიზკულტურა და სპორტი

ყველაზე დიდი სტადიონი ამიერკავკასიაში

ტფილისში ყოფილა საბაღოსნო სკოლის ტერიტორიაზე, მუშტაიდის გვერდით, დაწყებულია „დინამოს" სტადიონის მშენებლობა. ეს სტადიონი ყველაზე დიდი იქნება ამიერ-კავკასიაში მშენებლობისათვის გადადებულია 6 მილიონ. მანეთი. პროექტის ავტორებია არქიტექტორები **ა. ჭურდანი,** და **დ. ფომინი.**

სტადიონმა უნდა დაიტიოს 15 ათასი კაცი. პლაცის სიგრძე უდრის 150 მეტრს, სიგანე — 100 მეტრს. მოედანი მოეწყობა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ყოფ. სააღოსნო სკოლის ტერიტორიაზე ასრებული ყველა ხე დატოვებული იქნება და სტადიონს შემოეელება მწვანე ნარგავთა რკალი. ტრიბუნები მოეწყობა 2 და 3 იარუსად.

ტრიბუნების ქვეშ მოთავსდება: კინოდარბაზი, სასპორტო დარბაზები საბანაო ზიეფით, სალექციო დარბაზი, სკენა და სხვ. ამავე ტერიტორიაზე შენდება მცირე სტადიონი მოედებით **ტენისისათვის,** ხელბურთისათვის და სხვ.

მთელი ნაგებობა **რკინა-ბეტონის** იქნება. ამ ვად მთავრდება მიწის სამუშაოები. და წყებულია ბეტონის ნაგებობათა მშენებლობა. ამოყავთ შინაგან, რკალის კედლები.

სტადიონი მზად იქნება 1934 წლის დამლევისათვის (ალს).

ხელოვნება

ახალი დადგმები რუსთაველის თეატრში

რუსთაველის თეატრი ამჟამად ამზადებს სამ ახალ დადგმას: ალავნის „ინტერვენცია", პიესის დგამს რეჟ. ს. ახმეტელი, მხატ. ი. გამრეკელი, მუსიკა—ი. გოკიელის; გ. ბაზაზოვის—„ბაგაი", დადგმა კ. პატარიძისა, მხატ. ქებულაძე, მუსიკა ი. გოკიელის; ვ. შატბერაშვილის „რამანა" (სახელწოდება პირობითია), დადგმა შ. ასხაბაძის, მხატ. თაბაძე, მუსიკა ი. ტუსკიასი.

ტფილისის სახელმწიფო რუსულ თეატრში

ტფილისის სახელმწიფო რუსული თეატრი აუთვა სამხედრისს შკვარკინის ახალი პიესის „სხვისი ბავშის" დასადგმელად. პიესა წავა დეკემბრის პირველ რიცხვებში.

თეატრალური სეზონი თელავში

თელავის სახელმწიფო თეატრმა სეზონი გახსნა პ. სამსონიძის პიესით „სალტე". ამ ჟამად თეატრი მუშაობს ორ ახალ დადგმაზე: კირშონის „სასამართლო" და ი. ვაჟელის „აპრაკუნე ჭიმჭიმელი".

დიდის წარმატებით მიდის **შ. გორკის** პიესა „ეგორ ბულიჩევი და სხვები", რომელიც ფართოდ იზიდავს შეკავშირებულ მაყურებელს.

თეატრალური სეზონი თელავში

განახლებული იქნება კ. კალაძის „ბატიჯგე" და კირშონის „ლიდდება გუდუნებს". შემოღებულია საბონემენტო სისტემა.

ფადრაკი

ფლორის და ბოტვინიკის მატჩი

დღეს, 28 ნოემბერს ქ. მოსკოვში პროფკავშირების საკოლონო დარბაზში იწყება მატჩი საბჭოთა კავშირის ფალავან **ბოტვინიკსა** და ჩეხო-სლოვაკიის ფალავან **ფლორის** შორის. მატჩისადმი ინტერესი სცილდება საბჭოთა კავშირის საზოვრებს.

ფლორი დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ მოჭიდრაკეთა ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანია. უკანასკნელ საერთაშორისო შეჯიბრებებში მას არაერთხელ დაუკავებია პირველი ადგილი, ისეთ შეჯიდენლობაშიაც კი, სადაც მონაწილეობდენ **ბოგოლუბოვი, ტარტაკოვერი** და სხვები. საერთაშორისო საშეჯიბრო პრაქტიკა გარდა, იგი მოკლებული არ არის სამატჩო პრაქტიკასაც. მატჩი შპალმანთან, შტოლცთან და კაედანთან ფლორის გამარჯვებით დასრულდა. ფლორმა მატჩი ყაიმით დაასრულა ისეთ გამობრძმედილ მოჭიდრაკესთან, როგორიც ეიქეა. იგი საკმაოდ ძლიერია, როგორც პოზიციურ თამაშში, ისე განსაკუთრებით რთულ და მწვავე მდგომარეობაში, ფლორი კომბინაციურ აღმფრენის პატრონია, მწვავე პარტიებში **იგი** საშიშია ყველასათვის.

ბოტვინიკი ამ მდგომარეობას სავსებით უწევს ანგარიშს და დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს. ამ მატჩში. კავშირის საუკეთესო მოჭიდრაკეებმა: **რიუმინმა, კანმა, გრუზორიევმა და სხვებმა ასეთი აზრიც კი** გამოსთქვეს, რომ მატჩში აუცილებლად ფლორა გამოვა გამარჯვებული. ეს მით უფრო მოსალოდნელია—ამბობენ ისინი, რომ ფლორი მსოფლიო პირველობის ერთერთი უახლოესი და საშიში მეტოქეთაგანიო.

ასეთი აზრის გამოტანა მეტად საპასუხისმგებლო და ნაადრევია. მატჩის შედეგი არ არის დამოკიდებული ბოლოდ ამ მაჯწევებზე, რომელიც მოპოვებული აქვს ამა თუ იმ მოჭიდრაკეს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს თამაშის ფორმას და განსაკუთრებით ნებისყოფას სიმტკიცეს, რომელსაც გამოიჩენს მოჭიდრაკე საპასუხისმგებლო მომენტში.

ყველას კარგად ახსოვს თუ, რა საერთო აზრი იყო შეკრებილი ალიოხინისა და კაპაბლანკას მატჩის დროს. ყველა გაიძახოდა, რომ ალიოხინი ერთ პარტიასაც ოხელად თუ მოუგებდა კაპაბლანკას. სინამდვილეში კი—კაპაბლანკამ სასტიკი მარცხი განიცადა.

მართალია, **ბოტვინიკი** მოკლებულია საერთაშორისო მატჩის პრაქტიკას, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იგი წარიმადგენს მსოფლიოში უძლიერეს მოჭიდრაკეთა არმიის ერთერთ საუკეთესო წარმოადგენელს, თუ მოვიგონებთ, რომ იგი უკანასკნელ საკავშირო შეჯიბრებაში ორჯერ განოვიდა გამარჯვებული, რასაც ბოგოლუბოვმა მხოლოდ ერთხელ მიაღწია საბჭოთა კავშირის მოქალაქეობის დროს—ცხადი იქნება ბოტვინიკის ძლიერება ამ საპასუხისმგებლო მატჩში.

ჭეშარიტ ნებისყოფა, დიდი გამძლეობა და განვითარებული უნარიანობა თავდაცვაში, დებიუტის ზუსტად ცოდნა—აი, ბოტვინიკის დამახასიათებელი ნიშნები, როგორიც არ უნდა იყოს შედეგი, ადგილი ექნება საინტერესო და დაძაბულ ბრძოლას. **ეს** პრინციპი მოგვცემს ბევრ საინტერესო პარტიას, რომელიც დიდი განძი იქნება საშეძრაკო ხელოვნების ისტორიაში.

ტატჩში გათამაშებული იქნება 12 პარტია. პირველი ექვსი მოსკოვში, მხოლოდ დაწერილი ლენინგრადში.

ა. ფ—ლი.

—:—

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს საშაჭრაკო-სამშაში, კომიტეტში საკავშირო საშაჭრაკო-სამშაში სექტორს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

საბჭოთა საქართველოს მოშაჭრაკეები ესალმებიან საბჭოთა კავშირის საშაჭრაკო ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენელს **ბოტვინიკს** და უსურვებენ გამარჯვების მატჩში.

ჩეხო-სლოვაკიის გროსმეისტერ ფლორის ჩამოსვლა

მოსკოვი, 26 ნოემბერი. 26 ნოემბერს, მოსკოვში ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის გროსმეისტერი—ფლორი (ალს).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბ. რეს. სახალხო კომისართა საბჭოსი

ოთხფეხა საქონლის დამზადების გეგმის წარმატებით შემსრულებელ პირთა დაჯილდოების შესახებ

ვინაიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ოთხფეხა საქონლის დამზადების გეგმის თვის დროზე სავსებით შესრულებას მე-4 კვარტალში და ხორცის დამზადების მაქსიმალურად გაშლას 1934 წლის ვალდებულებათა ანგარიშში, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შემოღებულ იქნეს სასოფლო საბჭოებს, იმ თავმჯდომარეებისა და მდივნების, აგრეთვე რაიონებისა და სოფლების იმ მომუშავეების დაჯილდოება, რომელთაც წარმატებით შეასრულეს ოთხფეხა საქონლის დამზადების გეგმა.

წინადადება მიეცეს „საქხორცტრესტს"—გამოჭყოს ამ მიზნისათვის 18.000 მანეთი.

2. დაწესებულ იქნეს სამ პრიმია რაიონებისა და სოფლების მომუშავეებისათვის ოთხფეხა საქონლის დამზადების გეგმის 1933 წლის მე-4 კვარტალში წარმატებით შესრულებისა და 1934 წლის ანგარიშში, ვადამდე დამზადებათა განსორციელებისათვის.

1-ლი პრემია	300 მან.
მე-2 პრემია	200 მან.
მე-3 პრემია	125 მან.

3. შემოღებულ იქნეს ხორცკომბინატების დირექტორების დაჯილდოება ხორცის გადმოშვებისა და გამოზიდვის გეგმის შესრულებისათვის და „ზაგოტსკოტის" სარაიონო რწმუნებულებისა — ოთხფეხა საქონლის დამზადების გეგმის შესრულებისათვის.

4. დადგენილება მიეცეს საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს გამოყოს ხორცის ნატურალური ფონდი იმ საიაონო და სასოფლო მომუშავეების მომარაგების გაუმჯობესებისათვის, რომელთაც ხორცის დამზადების გეგმა წარმატებით შეასრულეს.

5. პრემიები გაიცემა არა უგვიანეს 10 დღისა ოთხფეხა საქონლის დამზადების გეგმის დამთავრებისას, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა და „ზაგოტსკოტის" სარაიონო რწმუნებულთა წარდგენით, კომისიის მიერ, რომლის შედგენილობაში შედიან: საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარი ამხ. ჭუბუღორია (თავმჯდომარე), ხორცის ტრესტის მმართველი ამხ. ლაცინავი და ხორცის ტრესტის სასაქონლო-სანედლეულო სამმართველოს მმართველი ამხ. ჭავჭანიძე.

პრემიები გაიცემა ფულად ან საქონლად დაჯილდებულთა სურვილისამებრ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე: ლუფციშვილი.

ბ. მგალობლიშვილი.

კარტიული და საბჭოთა კანონდარი

28 ნოემბერს, დღის 2 საათზე, **საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის კულტპროპაგანდისტების ამხ. ორაგველიძესთან შესვლებთ თათბირი ლენინის დღეებისათვის თეატრების მომზადების საკითხებზე.**

თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი თეატრების სამკუთხედები: რუსთაველის თეატრი, მარჯანიშვილის თეატრი, სომხური და თურქული თეატრები, მოზარდ მაყურებელთა ქართული და რუსული თეატრები.

—:—

ქვემოჩამოთვლილი ამხანაგები 28—29 ნოემბერს, 12—3 საათამდე უნდა გამოცხადდენ **საქ. კ.პ. (ბ)** ტფილისის კომიტეტში ამხ. ხოჯაბაიროვთან (ოთახი № 55).

ხ. მალიანი—2 სტაბა, პ. ბელოზეროვი—2 სტაბა, ს. ქალოში—თამბაქოს პირველი ფაბრიკა, ს. ბრილაკაია — თამბაქოს მეორე ფაბრიკა, კ. პეტროსიანი—ლუდის ქარხანა, გ. ბრინკინი—მეორე გარაჟი, გ. წერეთელი—„ხის ნაწარმი", რ. ბეტრო სიანი—ვოროშილოვის სახელობის ქარხანა, ნ. მახვაძე, ს. ბაკრაძე—ტფ. სახ-ვაჭრების ტრესტი, მ. მაკაგონი—ამიერ-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტი, ი. საკოვა, შალვა იაკობაშვილი, ლ. დადუაშვილი.

—:—

29 ნოემბერს, დღის 12 საათზე, **საქ. კ.პ. (ბ)** ტფილისის კომიტეტის კულტპროპაგანდისტები სერაფონ კუტალაძე, დავით გვილავა, ევტიხი მდიხარაძე, ანდრო ჩიქოვანი, სამსონ გოგოლაშვილი, ლადო ობოლაძე, ბენია გოგოლაშვილი, იასონ ჯაიანი, გოგია ჟორჟოლიანი, ი. შალორია ვარლამ ხვედელიძე იწვყებიან

ვახტანგ მდივანარაძის

გარდაცვალებას. 573

ძეგობრები: ეთო თავაძე, ქრისტინა კალანდაძე, პისტო მდიხარაძე, ნინა ბუსიაშვილი, ნინა კუტალაძე, ვასილი ჩხენკელი, ანეტა მაისურაძე, დომნა ლორია ვიხიარებთ კატუშა მდინარაძის მწუხარებას მისი საყვარელი ვაჟის

ვახტანგის (ზოტიკოს)

გარდაცვალების გამო 573

საქვაპროობის დამხადება-წამომწყებათა კანტორის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ საქვაპროობის კადრების განყოფილების გამგის ამხ. ნიკოლოზ ფარჯანაძის მწუხლის

ჰელაგიას

გარდაცვალების გამო. 592

საქვაპროობის სამეურნეო იხიარებს თავის მრომელ ამხ. ნიკოლოზ ფარჯ ნაძის მწუხარებას მისი მიუხლე

ჰელაგია ფარჯანაძის

გარდაცვალების გამო. დაკრძალვა 28 ნოემბერს 4 ნახ საათზე, ავლაბრის სასაფლაოზე. გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს სახ ავადმყოფოდან (კამოს ქ. № 103). 590

გულდამწყვარი დედა ფოტინე, ძმა ივანიჩქა, დები: თამარა, გუჯუნა, ნუცა შუქურა, სიძე კოწია გამყრელიძე დავსტირით სიცოცხლით სავსე

კატუშა აბესალომის ას. იშხნელის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდა ს. თერჯოლაში. 604

თაქზარდაცემული მშობლები ელენა და სევერიანე, შვილები თინა, ვერა და რეხო, ბებია ეკა იუშყებიან ძვირფასს

გრიშა სევერიანე -ძე რაზმაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 30 ნოემბერს 4 საათზე ტყე კულტურის ქ. № 777. 602

გაუბედურებულნი: მეუღლე ფუცა შვილი ალიკოთი აუწყებენ ამხანაგ-მეგობრებს, რომ 30 ნოემბერს პირველ საათზე ვერის სასაფლაოზე დასაბინძულია საყვარელ მეგობრის ქარის და მამის

პაპუ (აკაკი) კოგებაძის

სამოჭალაკო პანაშვიდი. უფ.

ამწუხარებული ძმები კოლია, მიშა ვასო, რძალი თამარა მ.გრაქელიძეები მწუხარებით აუწყებენ ხათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ტრაგიკულად გარდაიცვალა მათი საყვარელი

ჰელო მაგრაძველიძე-ფარჯანაძისა

დაკრძალვა 28 ნოემბერს ტფილისში. 603

თ. მეკაბდე ვ. ბარხუდაროვა, ლ ჭილაძე ნ. მახვაძე ტ ჯუღელი ა. ანიჩქოვი ელ ჯორჯენაძე, მ. კვალიაშვილი ც. წულაძე ტორჩინავა ც ჭყონია. ვ შენგელაია თ. ჭყონია იხიარებენ ამხანაგის სოხია ბახტაძის უსაზღვრო მწუხარებას საყვარელი ძმის

იოსებ ბახტაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 591

დამწუხრებული ძარგალიტა კაკაბაძე-მიქა შვილი ქალით ნოე მიქაშვილი იუწყებიან ბიას დისწულის სევერიანე რაზმაძის უფროსი ვაჟის

გრიშა რაზმაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე 30 ნოემბერს 4 საათზე ტყე კულტურის ქ. 777. 602

ს. ს. ს. რ. სახალხო არტისტის კ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს მხატვარს დავით კაკაბაძეს მისი დედის

ელენე ივანეს-ას. კაკაბაძის

გარდაცვალების გამო. 599

საქ. სახ. პედ ოგიური ინსტიტუტის პედოლოგიური სე ციის მეცაძე კურაის ტუდენტობა უღრმეს თანა რძნობას უცხადებს პროფესორ გიორგი თავზარაშვილს, მი ი საყვარელი მამის

იასონ თავზარაშვილის

გარდაცვალების გამო. 493

ღრმად დამწუხრებული შვილები: სიმონი იუსტინა, ჯასიკო, რძალი პაშა, შვილიშვილები: ვენერა კლავდია, ნონა მწუხარებით იუწყებიან მათთვის ძვირფას

ნინო ჯღამაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 28 ნოემბერს სოფელ გუბში. 595

დავკარგეთ საყვარელი

პატარა ნაზიბროლა

რასაც ვიუწყებით გულმოკლულები მშობლები: დედა ბაბი, მამა კაკო ბებია, მამიდა ცაცინო. ბიძიები ილო და ვასო კვირკველები. დაკრძალვა დება ხ ხოროწყუში 30 ნოემბერს 597

ღრმად დამწუხრებული ბიძები აკაკი, აბრო ი, ბიცოლები თამარა, პარატყუ შვილი მთვარიხათი, ბებია მატრონა ბაბუა მათე გოჩუა იუწყებიან

პატარა ნაზიბროლა კვირკველიას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დაბა ჩხოროწყუში 30 ნოემბერს. 597

დამწუხრებული დედა მარია, ცოლი ეგნატაფია, შვილი ბესიკო ძმები: ვასილი, ივანე, ოიავები, რძლები: ბაბუცა ანტრა, დელიტი, სიძე თეოფანე იუწყებიან

გიორგის

ტრაგიკულად დაღუპვას. დაკრძალვა მოხდა 26 ოქტომბერს ს ობაშაში. 600

სატ. ოკეანე

დღე	29 ოქტომბერს	30 ნოემბერს
4 აბონ. 6 წარ.	2 აბონ. 6 წარ.	6 აბონ. 6 წარ.
1. ჯაბავაზეგ. 2. ვალკურგიი ღამე.	გოფმანის ზღაპრები	კარმენი

მზადდება დამსახ. არტისტის **სანდრო ახმეტელის** დადგმით „ევგენი ონეგინი".
დაიწყო ყველა აბონემენტის მე-5 მორიგი შესატანის მიღება
დღისით 11 დან 2 საათამდე, საღამოთი 6 დან 8 საათამდე.

ხარკოვის	28 ოქტომბერს	29 ოქტომბერს	30 ნოემბერს
	13 აბონ. 2 წარ.	15 აბონ. 1 წარ	აბონ. გარეშე
	როგორ	ზიზი	მზის დაბნელება საქართ.

დასაწყისი საღამოს 8 ათზე.
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11 ს.—2 ს. საღამოს 6 ს.—10 ს დეკემბრის 1 რიცხვამდე აბონენტების ძიერ დაფარული უნდა იქნეს მე-3 გადასახადი.

რუსთაველის	28 ოქტომბერს	29 ოქტომბერს	30 ნოემბერს
	16 აბონ. 2 წარ.	13 აბონ. 2 წარ.	14 აბ. 2 წარ.
	ძართა ძალაქი	in tirannos	in tirannos

მე-3-მე გადასახადის შეტანა სავალდებულოა
სალარო ღიაა 11—2, 6—9 ს.-დე. დასაწყისი 8 ს.

ა ქ ი ხ ა რ ხ ე ბ ი ა კ ი ნ ო-თ ე ა ტ რ ე ბ ი:

ოქტომბერი—ხმოვანი ს. 7-30, 9, 10-30.	ხ. ხმ. ფ. მზე დასავლეთით ამოდის პრ. გარეშე საბჭოთა ხელოვნება № 7
დ ა ბ რ ე ლ ი ს ბ, 7-30, 9, 10-30.	ჰოლა ნებრ. ამერიკ.კომედ. ეკლიანი მავთული. პრ. ს. 16 წლისთ ტფილისში
ტ ე მ პ ი ს, 7-30. 9. 10-30	ანა სტენი მხ. სურათი ჩემი ქალი ცოლი პრ გარ საბჭოთა კინო ჟურნ № 29
ს. ლიუბიმოვ-ორგინის ხმ. ს. 8-30 10-30	ხმოვ. მხატ. ფილმი ანენკოვ ივანა პრ. გარეშე ხმ. ჟურნალი № 28
ა ს ტ ო რ ი ა ს ს. 8-30 10-30	მისი უღიდებულესობის სოლისტი პრ გარეშე—ოქტ 16 წლისთ. მოსკოვში
ჟან-ია ახელოვ ს 30 8 0 10 30	ხმ. ისტორ ფილმი ტეკაბარისტები პრ. გარ ოიუნუკინოს ჟურ № 30
ა ს ა ხ ი ა ს ა ხ ლ ე ბ ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი	გ ა ვ ი ც ა ც ხ ლ ე ბ დ ა ნ ა ხ ვ ა რ ი
ა ბ ა ბ ა ე ბ ი ს ა ხ ი ნ ო ა ბ ა ბ ა ე ბ ი ს ა ხ ი ნ ო	პრ. გარ.—ისწავლე ენგრაში სიარული
ოქტომბერი—დღისით ივან. 12, 1 30. 3	ამერიკული კომედიები

ეძიებს
ს. ა. დიუელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.
საბის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს საბის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხ. ძნელაძის ქ. № 22.

ვამზადებთ მოწაფეებს:
10 წლ. 7 წლ. მოწმობაზე და **მოანგარიშეობის,** თანამდებობისათვის, ქარგალთლის ქ. № 3-ა 4—6 ს. 10—1 542

ეძიებს
ლ. ა. ფალავა
განაახლა ავადმყოფ. მიღებას. შ.რდ - სასქესო ორგ. სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. მიღება: საღამ. 6 ნახ. 8 საათამდე. კლ. ცეტკინის ქ. № 148 (რკ გზ ისპანეთის ქუჩის პირველ რიცხვებში).

თანახმად წევრთა საერთო კრების დადგენილებისა, ცხადდება
არტელი „სალტე"-ს ლიკვიდაცია
პრეტენზიების მიღება 1933 წ. 10 დეკემბრამდე.
599 ლი ვიდკომი

ეძიებს
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ. იღებს ავადმყოფებს დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს.
მისამართი ქამოს ქ. № 72 (ყ. დიდი მთავრის ქ.) ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. 15—1

ქვემოთ რამოთვლილი საბუთები ჩ. გ.
საბჭედრო წიგნაკებისა:
კოტე ზაქარიას-ძე ჯიქურის, ერმილე კირვალიძის. მიშა ილიას-ძე პაპიაშვილის, გიორგი ოლიაშვილის.
სხვა და სხვა:
სამხედრო ბილეთიდან განთავისუფლების მოწმობა ექვთიმე ქავჯავაძისა, პასპორტი 231-729 ლავრენტი მიხეილის-ძე კახიანძის, პარტკანდატობის მანდატი № 4103 არსენ იულონის ძე კვაშილავასი. 32

სტამბა „კომუნისტი". ქამოს ქ. 64. მთაველიტის რწმუნებული ა 1514